# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N2413 2022 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობასა და შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“ შორის „დევაში ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ დასადები ხელშეკრულების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“ შორის „დევაში ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასადები ხელშეკრულება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი